ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29.29220772**
თარიღი:**18/03/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (ს.კ.33.10.36.459 – 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N 1 (4.2 კვ.მ) შენობა-ნაგებობა) და ხაზობრივი ნაგებობის (ს.კ.33.00.250 – 1437.69 მ. წერტილოვანი ობიექტი 38 ცალი - საბალანსო ღირებულებით 48 500 (ორმოცდარვა ათას ხუთასი) ლარი) სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, მგფ-ს მიერ განხორციელდა წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები. წყალსადენს საჭირო ელექტრო ენერგია მიეწოდება სათავე ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ელ-სატრანსფორმატორო ჯიხურიდან, რომლის გამართულად ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია გადაეცეს სს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“.

სს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ N5170840 წერილის შესაბამისად, განხორციელდა ზემოაღნიშნული სატრანსფორმატორო ჯიხურის (ს.კ.33.10.36.459 – 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N 1 (4.2 კვ.მ) შენობა-ნაგებობა) და ხაზობრივი ნაგებობის (ს.კ.33.00.250 – 1437.69 მ. წერტილოვანი ობიექტი 38 ცალი) დარეგისტრირება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ასევე, სს „ენერგო–პრო ჯორჯია“ N5183272 წერილით მზადყოფნას აცხადებს, შემდგომში ექსპლუატაციის მიზნით, 50 წლიანი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის გზით მიიღოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ღვანკითის წყალსადენის მკვებავი, 10/0,4კვ ძაბვის სატრანსფორმატორო პუნქტი (ქ/ს „დიდი ზესტაფონი“, ფიდ. „არგვეთა“) და ელექტროგადამცემი ხაზი.

მუნიციპალიტეტის მერიამ წერილობით მიმართა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ზემოაღნიშნული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში სს „ენერგო–პრო ჯორჯია“-ს კაპიტალში შეტანის მიზნით, რაზედაც გვეცხობა, რომ სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში იმსჯელებს სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმებული დაზუსტებული მოთხოვნისა და წინადადებების (გადასაცემი ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემების, გადაცემის ფორმის, საფასურის, საფასურის გადახდის ვადისა და სხვა პირობების გათვალისწინებით) წარმოდგენისა და ზემოხსენებული ქონების ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შემდგომ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 28 თებერვლის N28-282205951 წერილის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული), უძრავი ქონება (ს.კ.33.10.36.459 – 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N 1 (4.2 კვ.მ) შენობა-ნაგებობა) და ხაზობრივი ნაგებობა (ს.კ.33.00.250 – 1437.69 მ. წერტილოვანი ობიექტი 38 ცალი) - საბალანსო ღირებულებით 48 500 (ორმოცდარვაათას ხუთასი) ლარი უსასყიდლოდ გადაეცეს საკუთრებაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 2. განკარგულება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი